პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 235 (6290)

1978 წ. 2 დეკემბერი შაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ. დეპუტატებმა განიხილეს და განსაზღვრეს ხუთწლედის მეოთხე წლის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივები. სესიაზე ხაზი გაესვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ყოველი შრომითი კოლექტივის, ყოველი საბჭოთა ადამიანის სამოქმედო პროგრამა გახდება.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოწყობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება, რომ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მოეწყოს 1979 წლის მარტში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 30 ნოემბერი.

## ბროშურად გამოიცა

ბროშურად გამოიცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე. მასში შევიდა, აგრეთვე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 27 ნოემბერს მიღებული დადგენილება.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საქინფორმი).

ჭადრაკი

### სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი

## საზეიმოდ გაიხსნა

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თბილისის სახალხო დეპუტატების ალმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ს. რიგვავამ.**

სახელოვან მოჭადრაკეებს მიესალმნენ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის და საჭადრაკო ფედერაციის სახელით — საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდული გუნდის უფროსი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი **ა. ბიხოვსკი,** საქართველოს სპორტკომიტეტისა და საჭადრაკო ფედერაციის დავალებით — რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ფირცხალავა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ლ. გაბუნია,** ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი **მ. ჩიბურდანიძე.** შეჯიბრების მონაწილეთა სახელით სიტყვა წარმოთქვა დიდოსტატმა **ლ. პოლუგაევსკიმ.**

ტრიბუნაზეა ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი **ვ. მიკენასი** (ვილნიუსი). იგი დამსწრე საზოგადოებას წარუდგენს თბილისში სასპარეზოდ ჩამოსულ დიდოსტატებსა და ოსტატებს, შემდეგ ლაპარაკობს შეჯიბრების რეგლამენტზე და მოჭადრაკეებს წილისყრას იწვევს.

აი, როგორ შეივსო სატურნირო ცხრილი:

1. დიდოსტატი **ო. რომანიშინი** (ლვოვი), 2. დიდოსტატი **ვ. ცეშკოვსკი** (ომსკი), 3. დიდოსტატი **მ. ტალი** (რიგა), 4. დიდოსტატი **ე. გელერი** (მოსკოვის ოლქი), 5. დიდოსტატი **ვ. ბაგიროვი** (ბაქო), 6. დიდოსტატი **ს. მაკარიჩევი** (მოსკოვი), 7. დიდოსტატი **ლ. პოლუგაევსკი** (მოსკოვის ოლქი), 8. დიდოსტატი **ვ. ტუკმაკოვი** (ოდესა), 9. დიდოსტატი **გ. კუზმინი** (ვოროშილოვგრადი), 10. საერთაშორისო ოსტატი **გ. ტიმოშჩენკო** (ნოვოსიბირსკი), 11. დიდოსტატი **თ. გიორგაძე** (თბილისი), 12. დიდოსტატი **ი. რაზუვაევი** (მოსკოვი), 13. დიდოსტატი **ა. ბელიავსკი** (ლვოვი), 14. დიდოსტატი **ბ. გულკო** (მოსკოვი), 15. ოსტატი **ჰ. კასპაროვი** (ბაქო), 16. დიდოსტატი **ი. დორფმანი** (ლვოვი), 17. დიდოსტატი **ე. სვეშნიკოვი** (ჩელიაბინსკი), 18. დიდოსტატი **ა. მიხალჩიშინი** (ლვოვი).

დასასრულს სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონი **ბ. გულკო** ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ალამს აღმართავს. დარბაზში გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების ჰანგები.

დღეს ჩემპიონატზე I ტური გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან რომანიშინი — მიხალჩიშინი, ცეშკოვსკი — სვეშნიკოვი, ტალი — დორფმანი, გელერი — კასპაროვი, ბაგიროვი — გულკო, მაკარიჩევი — ბელიავსკი, პოლუგაევსკი — რაზუვაევი, ტუკმაკოვი — გიორგაძე, კუზმინი — ტიმოშჩენკო.

თამაშის დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**სპორტის** ეროვნული სახეობები... ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ხალხთა წიაღში ჩასახულნი. ისინი ზრდიდნენ ძლიერ, მოხერხებულ, მამაც ადამიანებს. სპორტის ეროვნულ სახეობებს, ჩვენს „ეროვნულ საუნჯეს“ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ჩვენი რესპუბლიკის ათასობით მოზარდი თაობა მისდევს მშვილდოსნობას, ქართულ ჭიდაობას, ისინდს, ლელოს, ატარებენ ძალოსანთა კონკურსებს... სწორედ ამგვარ ასპარეზობებში უგროვდებათ გამოცდილება ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს. სპორტის ეროვნულ სახეობებს ნაზიარები ახალგაზრდობა ხშირ შემთხვევაში დაოსტატებას აგრძელებს ვთქვათ, თავისუფალ თუ კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუდოში ან ძალოსნობაში და ხშირად წარმატებებსაც აღწევს საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ სპორტული კარიერის დასაწყისში გამოჩენილი ქართველი მოჭიდავე ვახტანგ ბალავაძე ქართულ ჭიდაობას მისდევდა. ქართული ჭიდაობიდან მოვიდა ძიუდოში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ამ სახეობაში შოთა ჩოჩიშვილი, თავდაპირველად ძალოსანთა კონკურსებში გამოდიოდა დიტო შანიძე...

ამიტომაც უნდა მივუზღოთ თავისი „კოლმეურნეს“ ცენტრალურ საბჭოს, რომელიც ყოველმხრივ უწევს პროპაგანდას სპორტის ეროვნულ სახეობებს, ყოველწლიურად ატარებს საქართველოს სპარტაკიადებს.

• • •

**ახლახან** რესპუბლიკის სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე დამთავრდა „კოლმეურნეს“ კიდევ ერთი სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში. ამ ღონისძიებამ მრავალი ნიჭიერი, პერსპექტიული ჭაბუკი და ქალიშვილი გამოავლინა, რომლებიც თუ გულმოდგინედ, მუყაითად ივარჯიშებენ, ახლო მომავალში წარმატებით გამოვლენ დიდი სპორტის სარბიელზე.

პერსპექტიულთა შორის უნდა აღვნიშნოთ ლანჩხუთელი ლ. თვალაბეიშვილი, რომელიც საგარეჯოში გამართულ **ძალოსანთა** კონკურსში გამოდიოდა. მართალია, იგი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ უკვე 100 კგ-ზე მეტს იწონის. მიუხედავად ამისა, ჰარმონიულადაა განვითარებული და სპეციალისტთა ყურადღებას კარგი ტექნიკით იპყრობს. თუმცა ლ. თვალაბეიშვილი პრიზიორებს მიღმა დარჩა, მაგრამ ორივე ხელით ოთხჯერ აჭიმა 24-24 კილოგრამიანი საწონები, მერე 28-ჯერ მარჯვენა ხელით, 20-ჯერ კი მარცხენათი შეძლო მათი აჭიმვა. ბოლოს ამ საწონებით 38-ჯერ ჩაჯდა. სავარაუდოა, რომ ამ ახალგაზრდის პოტენციური შესაძლებლობანი გაცილებით მეტია. მას აუცილებლად სჭირდება გამოცდილი, ყურადღებიანი მეთვალყურე, რათა ქართველ ძალოსანთა რიგებს ძლიერი სპორტსმენი შეემატოს ლ. თვალაბეიშვილის სახით.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ძალოსანთა ფიცარნაგზე 212 კაცმა სცადა ძალა და ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა გამოვლინდა. ესენი არიან ტ. ქათამაძე, მ. ავჯიშვილი (ორივე — აჭარა), დ. გონაშვილი და თ. ნარიმანიშვილი (ორივე — წითელი წყარო) და დ. ჯიქია (ზუგდიდი), რომლებიც პირველნი იყვნენ იუნიორთა შეჯიბრებებში.

უფროსთა ჯგუფში ჩემპიონები გახდნენ ზ. ფუტკარაძე, ვ. გორნოვსკი (ორივე — სამტრედია), ზ. მარგალიტაშვილი (თელავი), თ. თამაზაშვილი (წითელი წყარო) და ი. გამსახურდია (ზუგდიდი).

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ძალოსანთა გუნდური შეჯიბრება. პირველად საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ წითელი წყაროს ახალგაზრდები. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ძალოსანთა კონკურსში პრიზიორთა შორის სისტემატურად შედის ჩხოროწყუს გუნდი. ასე იყო ახლაც. ეს იქაურ მწვრთნელთა მიზანდასახულ მუშაობაზე მეტყველებს.

**მშვილდოსანთა** შეჯიბრება ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისაში გაიმართა. სპეციალისტთა აზრით, შეჯიბრების მონაწილეებმა კარგი შედეგები აჩვენეს და, რაც

## „ეროვნული საუნჯის“ მადლი

### „კოლმეურნეს“ სპარტაკიადა

მთავარია, გაზრდილი ოსტატობით გაგვახარეს გოგონებმა. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს „სუსტთა სქესის“ საქართველოს წარმომადგენლები ქ. ლოსაბერიძის გარდა ვერ გვახარებენ მიღწევებით. მაგრამ „კოლმეურნეს“ სპარტაკიადამ აღმოაჩინა ნიჭიერი, პერსპექტიული მშვილდოსანი ქალები. მაგალითად, გ. ბარქაია (აჭარა), რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და II ადგილი დაიკავა. უნდა აღვნიშნოთ მისი თანაგუნდელი ო. ლადიგინა, აგრეთვე, ვ. ზელილოვა (აფხაზეთი), მ. კაჭახიძე და მ. თოდრია (ორივე — ქუთაისი), რომლებსაც შეუძლიათ მაღალი კლასის მშვილდოსნები გახდნენ.

ნაყოფი გამოიღო ვაჟთა შორის მშვილდოსანთა შეჯიბრებამაც — აქაც ლაიბადა კიდევ ერთი სპორტის ოსტატი. ეს გახლავთ აჭარის წარმომადგენელი გ. ბასილაძე, რომელმაც III ადგილი დაიკავა. გამარჯვება კი წილად ხვდა თბილისელ ვ. ტროპინს. II იყო ა. ავდენტოვი (აჭარა). მათ გარდა კარგი შედეგები უჩვენეს თბილისელმა ა. მექვევიძემ და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელმა დ. გაბოევმა.

თუ ამ სიას თვალს კიდევ ერთხელ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ აქ ყველაზე ხშირად აჭარელ მშვილდოსნებს ვხედავთ. როგორც „კოლმეურნეს“ ცენტრალურ საბჭოში გვითხრეს, აჭარაში ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა მწვრთნელი ა. შოუა, რომელიც ყოველწლიურად 3-4 სპორტის ოსტატს ზრდის.

ყველაზე მასობრივი შეჯიბრება, როგორც მოსალოდნელი იყო, **ქართული ჭიდაობა** აღმოჩნდა. აქ იმდენმა ფალავანმა გამოთქვა შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი, რომ მათთვის ზონალური ასპარეზობა გაიმართა გეგეჭკორში, თიანეთში, თელავში და ქუთაისში. ბოლოს 90 საუკეთესო მოჭიდავემ თელავში მოიყარა თავი, რათა მათ შორის უძლიერესნი გამოევლინათ. წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ვეიხიშვილი, ნ. კაციაშვილი, თ. ბოლიაშვილი (ყველა — თელავი), გ. მუსელიანი (ლენტეხი), დ. ოდიშვილი (სამხრეთ ოსეთი), გ. ნავაძე (ლაგოდეხი), გ. ნეკრესელაშვილი და ტ. წიკლაური (ორივე — თელავი).

გუნდურ შეჯიბრებაში ყველას თელაველებმა აჯობეს.

ზონალური შეჯიბრებების გამართვა გახდა საჭირო **ლელობურთის** წარმომადგენელთა შორისაც. აქ გამარჯვებულმა გუნდებმა, რომელთა შორის იყვნენ აფხაზეთის, აჭარის, თელავის, გურჯაანისა და ზუგდიდის კოლექტივები, ჩხოროწყუში მოიყარეს თავი, რათა უძლიერესი გამოევლინათ. თავიანთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს მასპინძლებმა, რომლებმაც ყველას აჯობეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

ლელობურთში ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ახალგაზრდებმა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 45 სპორტსმენს მიენიჭა საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება.

სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი სპორტის უკანასკნელი სახეობა **ცხენოსანთა** შეჯიბრება იყო. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცხენბურთში, ისინდში და მარულაში. ამ უკანასკნელში 8 კილომეტრზე რბოლაში ეპაექრებოდნენ ერთმანეთს.

ცხენოსანთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა.

აფხაზეთის ნაკრები საუკეთესო იყო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის სპარტაკიადის საერთო კომპლექსურ ჩათვლაშიც.

II ჯგუფში, სადაც რაიონების ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ, გაიმარჯვეს ზუგდიდელმა სპორტსმენებმა.

დასასრულ კრიტიკული შენიშვნა უნდა გამოვთქვათ იმ რაიონების სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების მისამართით, რომლებმაც გუნდები არ მოავლინეს სპარტაკიადში მონაწილეობის მისაღებად. ესენია: ამბროლაურის, ახალციხის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, ვალეს, გორის, დმანისის, ყაზბეგის, მარნეულის, ონის, თეთრი წყაროს, თერჯოლის, ტყიბულის, წალკის, წყალტუბოსა და ჭიათურის გუნდები. პროგრამის მხოლოდ თითო სახეობაში გამოვიდნენ აბაშის, ბოლნისისა და ხობის რაიონები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტის ეროვნულ სახეობებს.

**დ. პეტრიაშვილი.**

## ჩოგბურთი

**ოსლო.** მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ოთხეულმა უიმბლდონის ტურნირის სამგზის გამარჯვებულის, შვედი ბიორნ ბორგის მეთაურობით, ტალინში ასპარეზობის შემდეგ ნორვეგიის დედაქალაქში გამართა დასკვნითი საჩვენებელი მატჩი. შვედმა სპორტსმენმა ტალინში დამარცხებისთვის რევანში აიღო ამერიკელ ვ. გერულაიტისთან — 4:6, 6:4, 6:2. ეს მისი მე-13 გამარჯვებაა ამ მეტოქესთან (16 შეხვედრიდან). მეორე ორთაბრძოლაში ამერიკელმა ს. მაიერმა სძლია იტალიის პირველ ჩოგანს ა. პანატას — 7:6, 7:6, 6:2.

ბორგი საჩვენებელ მატჩში უნდა შეხვდეს პოლონელ ჩოგბურთელს ვ. ფიბაკს.

• • •

**მელბურნი.** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასზე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ქალთა მატჩის (მეორე წრე) პირველი შეხვედრა გაჭიანურებული წვიმის გამო შეწყვეტილი იქნა.

მეორე დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს იუგოსლავიის გუნდს ანგარიშით 3:0.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სასპარეზოდ გამოსული ო. მოროზოვას წარმატება. მან ანგარიშით 6:1, 6:0 სძლია ცნობილ ჩოგბურთელს მ. იაუშოვეცს.

ნ. ჩმირიოვამ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ნ. დელმესტრე, ხოლო შემდეგ ე. ელისეენკოსთან წყვილში კიდევ ერთი ქულა მოუტანა ნაკრებს.

ამ შეჯიბრებაში, რომელიც ქალთა გუნდურ ჩემპიონატად ითვლება, საბჭოთა სპორტსმენების მორიგი მეტოქეა რუმინეთის ნაკრები.

აი, პირველი წრის შეხვედრების ზოგიერთი შედეგი: ავსტრალია — ბელგია 3:0, ჩეხოსლოვაკია — პორტუგალია 3:0, რუმინეთი — იტალია 2:1, შვეიცარია — ირლანდია 3:0. (საქინფორმი).

# მოსკოვი — XXII თამაშების სარბიელი

## დროის ოლიმპიური ანგარიში

**თუმცა** ევეის ქვეშ არავინ აყენებს გრიგორიანული კალენდრის სიზუსტეს, მაგრამ 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მზადებისთვის დასაქმებულ ადამიანებს დროის თავისი ანგარიში აქვთ. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტს ვესტუმრებით. აქ ყველაზე თვალსაჩინო ადგილებში თავიანთი კალენდრები აქვთ: ყოველ ფურცელზე (ფურცლებს იქით ათასობით საქმე და საზრუნავი იმალება) — მოსკოვის ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩენილ დღეთა შესაბამისი ციფრებია.

წინასაოლიმპიადო მზადების ყველაზე აჩქარებული რიტმი იგრძნობა საორგანიზაციო კომიტეტის საოქმო სამსახურის სამმართველოში, რომლის წილად თამაშების დროს მოვა სოკ-ისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებისა და წევრების, საპატიო სტუმრებისა და მეთვალყურეების, თამაშების მონაწილეთა მიღებისა და დაბინავებისთვის ზრუნვის უმეტესი ნაწილი. ამჟამად სამმართველოს არცთუ მრავალრიცხოვანი პერსონალი მეურვეობს უცხოელ სტუმრებს, რომლებიც მოსკოვსა და სხვა ოლიმპიურ ქალაქებში თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის გასაცნობად ჩამოვიდნენ.

მარტო წლის პირველ 10 თვეს აქ ჩამოვიდა 80-მდე დელეგაცია, მათ შორის გდრ-ის, მოზამბიკის, ტანზანიის, ჰოლანდიის, იტალიის, აშშ-ის, კანადის, შვეციის, ფინეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო ფედერაციების მრავალრიცხოვანი ტექნიკური დელეგატები. ახლახან მოსკოვში თავისი სხდომა გამართა სოკ-ის კომისიამ პრესის დარგში.

სამმართველოს უფროსის ს. ნოვოჟილოვის მაგიდაზე ჩვენ ვნახეთ სპორტულ სარბიელთა ტრიბუნებზე ყველა რანგის ოლიმპიელთა მოთავსების სქემები.

— მიაქციეთ ყურადღება: ჯერ გათვალისწინებული გვაქვს ადგილები თავად სპორტსმენებისთვის, — გვაჩვენა ს. ნოვოჟილოვმა — წინა ოლიმპიადების ორგანიზატორებს ისინი ავიწყდებოდათ. ჩვენთან კი საშუალება ექნებათ ნახონ თამაშების გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიალი, სხვადასხვა შეჯიბრება. და ეს მხოლოდ ერთია იმ მრავალრიცხოვან პრობლემათა შორის, რაც გვაწუხებს. აი, მაგალითად, ახლა ჩვენ ვმუშაობთ დაჯილდოების ცერემონიალის რაც შეიძლება ლამაზად და საინტერესოდ მოწყობაზე. გვინდა ეს მომენტი დაუვიწყარი იყოს, როგორც მაყურებლებისთვის, ისე თვით სპორტსმენებისთვის. საბჭოეთის დედაქალაქში ხომ ჯილდოების 203 კომპლექტი გათამაშდება.

თუმცა ამ საუბრისას ნოვოჟილოვს ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა „დრო", მაგრამ სწორედ დროის ფაქტორი განსაზღვრავს „ოლიმპიადა-80"-ის ორგანიზატორთა საქმიანობას. მოგვყავს არასრული სია იმ დღეს საორგანიზაციო კომიტეტში მომხდარი მოვლენებისა: დილიდანვე უცხოელი ჟურნალისტები ავტობუსებით გაემგზავრნენ ოლიმპიური მშენებლობის დასათვალიერებლად, მიიღეს კუბის სპორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფაბიო რუისი და იტალიის ოლიმპიური ატაშე რენცო ბენცონი (ამჟამად მოსკოვში უკვე მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის 30-მდე ატაშე), გაიმართა მოლაპარაკება ფინეთის ფირმა „ნოკიას" წარმომადგენლებთან, რომელთა ელექტროტაბლო დადგმულია ბევრ ჩვენს სპორტულ ნაგებობაში და მათ შორის ლუჟნიკის სპორტის სასახლეში.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ ეს ოლიმპიური ობიექტი, სადაც უკვე დასასრულს უახლოვდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სპორტულ ტანვარჯიშში მელბურნისა და რომის ოლიმპიადების აბსოლუტური ჩემპიონის ლარისა ლატინინას განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. ახლა ლატინინა საორგანიზაციო კომიტეტის სპორტული პროგრამის სამმართველოს მთავარი სპეციალისტია სპორტის ამ სახეობაში.

— ბოლო დროს დიზაინერებთან ერთად სპორტის სასახლის გაფორმების საკითხებზე ვმუშაობთ, — თქვა ლატინინამ. — ჩვენ უკვე ახლოს ვართ გადაწყვეტილებასთან, მაგრამ თუ როგორი იქნება იგი, მოგვიანებით მოგახსენებთ: არ მინდა მოვლენებს გავუსწრო.

საერთოდ, სპორტის სასახლე არა მარტო განახლდა, უფრო მოხერხებულიც გახდა — კერძოდ, მიუშენდა გასახდელებიანი ორი პავილიონი. დიდი მუშაობა მიმდინარეობს რიგის ქარხანა ვეფ-ის სპეციალისტებთან, რომელიც ოლიმპიური ტანვარჯიშული ტურნირისთვის უნიკალურ სამსაჯო-საინფორმაციო მოწყობილობის ოფიციალური მიმწოდებელია. „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი, რიგით მე-9 ჟურნალის „ოლიმპიური პანორამას" წამყვან თემათა შორისაა ტანვარჯიში.

— ამ ნომერში, — თქვა მთავარი რედაქტორის მოადგილემ ე. გრინგაუტმა, — დაბეჭდილია სატელევიზიო გადაცემის „კინომოგზაურობის კლუბის" წამყვანის ი. სენკევიჩის წერილი, რომელიც მოგვითხრობს ტ. ჰეიერდალთან ერთად მოწყობილ ბოლო ექსპედიციაზე. მნიშვნელოვან ადგილს ვუთმობთ ოლიმპიადაზე პრესის საქმიანობის საკითხებს.

„ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი კარგადაა ცნობილი მოსკოველი ფოსტალიონებისთვის. ყოველდღიურად 25-30 წერილს ღებულობენ საორგანიზაციო კომიტეტის საქმეთა მმართველები. დავათვალიერეთ ერთი დღის ფოსტა. წერენ სპორტის მოყვარულები ტაჯიკეთიდან, ყირგიზეთიდან, საქართველოდან, იუჟნო-სახალინსკიდან, ჩიტადან, პავლოდარიდან, კრასნოიარსკიდან, როსტოვისა და ორენბურგის ოლქებიდან.

ე. დვორეცკი კალინინგრადის ოლქიდან წერს, რომ დიდი ხანია ადგილობრივ კლუბ „რბენის მოყვარულთა" წევრია და სურს მონაწილეობა მიიღოს „ოლიმპიური ჩირაღდნის" ესტაფეტაში.

საზღვარგარეთიდან მოსულ კონვერტებზე აღნიშნული იყო აშშ-ის, გდრ-ის, იტალიის, ესპანეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, მაროკოს, პერუს საფოსტო შტემპელები. ბევრნი ახლავე გეგმავენ 1980 წელს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლას. აინტერესებთ სად და როგორ შეიძლება შეჯიბრებაზე დასასწრები ბილეთების ყიდვა, სურთ ოლიმპიური სუვენირებისა და გამოცემების შეძენა. წარმატებებს უსურვებენ თამაშებს. ყველაფერი ეს მოსკოვის ოლიმპიადისადმი უდიდესი ინტერესის გამომხატველია.

ა. ნოვიკოვი,
ი. ხრომოვი.
საკდესის კორ.

## დღეგრძელობა სპორტსმენისა

ჰაროლდ ვილმარი არის გდრ-ისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პისტოლეტიდან მსროლელი. მან სხვადასხვა დროს დიდ წარმატებებს მიაღწია, აი ნუსხაც:

1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე III ადგილი, 1969 წ. ევროპის პირველობა — II ადგილი, 1970 წ. მსოფლიო პირველობა — I ადგილი, 1971 წ. ევროპის პირველობა — II ადგილი, 1972 წ. ოლიმპიური თამაშები — V ადგილი, 1974 წ. მსოფლიო პირველობა — III ადგილი, 1975 წ. ევროპის პირველობა — I ადგილი, 1976 წ. ოლიმპიური თამაშები — II და 1977 წ. ევროპის პირველობა — III ადგილი.

...ეს სურათი რვა წლისაა, ჰაროლდ ვილმარი 23 წლის იყო, როდესაც კორესპონდენტმა ლაიპციგში ფოტოფირზე აღბეჭდა.

ეს მოხდა 1970 წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში. მსოფლიოს ჩემპიონატი ამერიკის ქალაქ ფინიქსში, არიზონის შტატის დედაქალაქში გაიმართა.

23 წლის ჭაბუკისაგან არავინ მოელოდა, რომ ამგვარ ამტანობას, თავდაჯერებულობას და მოხერხებულობას გამოიჩენდა.

— მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი და გადამწყვეტი სერიის წინ მეტად გამიძნელდა...

ის მართალია. იგი მხოლოდ 564 ქულით გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მასთან განუყრელი, „ჩვეულებრივი წერილი" პისტოლეტით, იარაღით, რომელიც ფოტოზე ასეთი სინაზითა და სიყვარულით უჭირავს ხელში.

სურათი გადაღებულია აშშ-დან ლაიპციგის სასროლეთზე დაბრუნების შემდეგ. სეზონი ჰაროლდ ვილმარისა და სროლის თაყვანისმცემელთათვის ბედნიერად დამთავრდა, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც თანამემამულე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ისევე როგორც გასროლის ხმა, ტყვის ქურთუკიც ჰაროლდ ვილმარს განუყრელად დაჰყვება ვარჯიშებზე. მაგრამ ძალების კონცენტრირების უნარი მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს თვისება მის სახეზეც არის აღბეჭდილი. ჰაროლდ ვილმარმა იგი გამოიმუშავა, როდესაც ფრანკენჰაუსში ტანვარჯიშული დარბაზიდან დახურული ველოტრეკისკენ, შემდეგ კი სასროლეთისკენ მიილტვოდა. საბოლოოდ კი ლაიპციგის მსროლელთა კლუბში ჩამოყალიბდა.

1966 წელს ჰაროლდ ვილმარი დაძაბული ვარჯიშის შედეგად პირველად გახდა თავისი ქვეყნის სპარტაკიადის ჩემპიონი, ამჟამად კი 31 წლისაა და გაცხოველებული ემზადება, რათა წარმატებით გამოვიდეს 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე, რომელიც მისთვის რიგით მეოთხე იქნება.

გერმანულიდან თარგმნა
გ. ლამბაშიძე.

### სროლა



სურათზე: ჰ. ვილმარი.

## ევროპის ჩემპიონატი

გრძელდება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ჯგუფებში.

### I ჯგუფი

ბულგარელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები და განიცადეს მარცხი — 0:2. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა არმსტრონგმა, შესვენების შემდეგ კი ნიკოლმა მეორე ბურთი გაგზავნა მასპინძელთა კარში.

ახლა ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრ. ირლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4—1 | 5 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 5—4 | 3 |
| ირლანდია | 3 | 0 | 3 | 0 | 4—4 | 3 |
| დანია | 4 | 0 | 2 | 2 | 9—11 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2—4 | 1 |

### II ჯგუფი

ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და შოტლანდიის [illegible] პირველ ტაიმში [illegible] ალბერტომ [illegible] დიელთა კარში და გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 4—2 | 5 |
| ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 6—4 | 4 |
| ბელგია | 2 | 0 | 2 | 0 | 2—2 | 2 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 5—6 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 1 | 2 | 3—6 | 1 |

### VII ჯგუფი

უელსის ნაკრების თავდამსხმელმა დისიმ შეძლო თურქეთის გუნდის კარში ერთადერთი და გადამწყვეტი ბურთის გატანა, რომელმაც მატჩის ბედი უელსელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 9—0 | 4 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0—1 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0—8 | 0 |
| გფრ | 0 | 0 | 0 | 0 | 0—0 | 0 |

## ვინ ითამაშებს მეორე ლიგაში?

**საქართველოს** ჩემპიონის წოდება ფეხბურთში წლეულს, როგორც ცნობილია, მოიპოვა ფოთის „კოლხეთმა", ხოლო „ა" კლასის II ლიგის IV ზონაში რესპუბლიკის გუნდებს შორის ბოლოსწინა ადგილი დაიკავა ბათუმის „დინამომ". დებულების თანახმად ეს ორი გუნდი ერთმანეთს უნდა შეხვდეს ორჯერ (შინ და მეტოქის მინდორზე), იმ უფლების გამოსარკვევად, თუ ვინ ითამაშებს გასად II ლიგაში.

ფოთის „კოლხეთისა" და ბათუმის „დინამოს" შეხვედრები გაიმართება 2 დეკემბერს ფოთში და 5 დეკემბერს — ბათუმში.

## საერთაშორისო მატჩი

**ლონდონში** შედგა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია — მას ესწრებოდა 92.000 მაყურებელი.

თამაშის 68-ე წუთზე ჩეხოსლოვაკიელთა მცველმა იურკემიკმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და მისმა გუნდმა დამარცხებულმა დატოვა მინდორი — 0:1.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

### უმაღლესი ლიგა

● თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის 15 მატჩში გავიდა 39 ბურთი, აქედან 31 გაიტანეს თბილისელებმა (18 — ჩრდილოეთ კარში, 13 — სამხრეთისაში). სტუმრებმა თანაბრად გაიტანეს ბურთები ორივე კარში — 4-4.

● სტადიონის საუკეთესო ბომბარდირია რ. შენგელია — 9 გოლი.

● თბილისის „დინამომ" მეტოქეებთან ყველაზე მეტი შეხვედრა დაამთავრა ანგარიშით 1:0. მან 5 ასეთი მატჩი მოიგო და 4 წააგო.

● ყველაზე იღბლიანი თბილისის დინამოელთათვის იყო 49-ე წუთი, როცა მათ მეტოქეთა კარში გაიტანეს 3 ბურთი (შენგელიამ — „ჩერნომორეცთან" და „ნეფთჩისთან" და დარასელიამ „ფახთაქორთან"). ამ წუთზე ჩვენს გუნდს თავის კარში არ მიუღია არც ერთი ბურთი.

● თბილისის დინამოელთაგან IX ტურამდე მხოლოდ შენგელიას და ყიფიანს ჰქონდათ გატანილი ბურთები მეტოქეთა კარში.

● დონეცკელი ნ. ლატიში ერთადერთია, რომელმაც თბილისის „დინამოს" კარში ბურთი გაიტანა თბილისშიც და შინაც. რ. შენგელიამ თბილისშიც და სტუმრადაც ბურთები გაიტანა მოსკოვის გუნდებთან — „სპარტაკთან" და ცსკა-სთან.

თ. ცინდაძე.

● თბილისის დინამოელებმა განვლილ ჩემპიონატში 4 ისეთი მატჩი მოიგეს, სადაც თავიდან მოწინააღმდეგე იყო წინ: „ჩერნომორეცთან" — 2:1 (0:1), „ქაირათთან" 2:1 (0:1), ცსკა-სთან 2:1 (0:1) და „ზარიასთან" 2:1 (0:1). საინტერესოა, რომ „ქაირათთან", „ზარიასთან" და ცსკა-სთან დინამოელები სტუმრად თამაშობდნენ.

● თბილისელთა თავდამსხმელმა ვ. გუცაევმა ვოროშილოვგრადელებთან მატჩში გაიტანა თბილისის „დინამოს" 1700-ე გოლი. აღსანიშნავია, რომ იმავე გუცაევს ეკუთვნის გუნდის 1600-ე გოლიც.

● დინამოელებმა ქულათა მაქსიმუმი აიღეს შემდეგ გუნდებთან შეხვედრაში: „ჩერნომორეცი" (2:1, 1:0), „ქაირათი" (2:1, 1:0), „ზარია" (4:1, 2:1), „დნეპრი" (1:0, 1:0), ცსკა (2:1, 4:1).

● წლევანდელი ჩემპიონებიდან ყველაზე მეტი მატჩი საკავშირო პირველობებზე ჩაატარა მ. მაჩაიძემ — 252. ყველაზე მეტი ბურთი გატანილი აქვს დ. ყიფიანს — 57. თუ გავითვალისწინებთ ევროპის საკლუბო ტურნირებში და სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებში გატანილ ბურთებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დ. ყიფიანს რეალური შანსი აქვს გახდეს გ. ფედოტოვის სახელობის კლუბის წევრი.

● თბილისის „დინამომ" საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ჩაატარა 1066 მატჩი, რომელთაგან მოიგო 484, ფრედ დაამთავრა 307 და წააგო 275. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 1725:1263.

რ. კოპაძე.

## ხელბურთი

სოციალისტური ქვეყნების იუნიორ ხელბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში გაიმარჯვეს სსრ კავშირის პირველი ნაკრების წარმომადგენლებმა. მეათე, საიუბილეო ტურნირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. მეორე ადგილზე გავიდნენ გდრ-ის წარმომადგენლები, ხოლო III — პოლონელები.

## თხილამურები

**სვერდლოვსკში** სტარტი მიეცა სეზონის პირველ ოფიციალურ შეჯიბრებას სათხილამურო რბოლებში, რომელშიც 90 სპორტსმენი გამოვიდა.

ქალები ერთმანეთს 5-კილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ. ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა სიკტივკარელი რ. სმეტანინა — 15 წუთი და 45 წამი. II შედეგი აქვს ერთდროულად ორ მოთხილამურეს: ნ. როჩევას (სიკტივკარი) და ლ. ლიადოვას (სვერდლოვსკი) — 15.47. III იყო ლენინგრადელი ნ. ბალდიჩევა — 16.03.

ვაჟთა შორის 10-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ს. საველიევმა — 28.13. II ადგილზეა ლენინგრადელი ე. ბელიაევი — 28.18, მესამეზე — ი. ვახრუშევი (კიროვი) — 28.44.

მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

# მასპინძლებს — მადლობა



**სამი** დღე ჭიდაობის მექად იყო ქცეული საუკუნეს მიღწეული მანგანუმის ქალაქის — ჭიათურის „მაღაროელის“ დარბაზი. აქ ჩატარდა საქართველოს პირადი ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს ასპარეზობის მაღალ დონეზე გამართვისათვის.

ჩემპიონატში „ბურევესტნიკის“, „დინამოს“, „კოლმეურნის“, „განთიადის“, თბილისის არმიის სპორტული კლუბისა და „სპარტაკის“ 127 მოჭიდავე ჩაება, მათ შორის 21 სპორტის ოსტატი და საქართველოს ნაკრები გუნდის 6 წევრი.

მართალია, ჭიათურის ხალიჩაზე ყველა უძლიერესი ქართველი კლასიკური სტილის მოჭიდავე ვერ გამოვიდა (ისინი ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან ერთად სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან), მაგრამ ორთაბრძოლებს სიმწვავე და დაძაბულობა არ აკლდა.

19 წლის თბილისელი განთიადელის ნიკოლოზ მუქიჩენკოს ჭიათურა კეთილ მოგონებად დარჩება. აქ მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ასევე პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება 48 კგ წონით კატეგორიაში. მართალია, რუსთაველი თემურ ყაზარაშვილი (52 კგ) სსრ კავშირის ჩემპიონი და ევროპის პირველობის მეორე პრიზიორია ახალგაზრდებს შორის, მაგრამ ისიც პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. პერსპექტიული მოჭიდავის სახელი დაიმკვიდრა ბურევესტნიკელმა დავით ლატარიამ (68). მან ვადაზე ადრე დაამთავრა შვიდივე შერკინება და ოქროს მედალს დაეუფლა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა, აგრეთვე, თბილისელმა არმიელმა გაფურ ალიევმა (82). მან გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა ახალგაზრდა ფალავანი გიორგი ყარყარაშვილი და პირველი ადგილი მოიპოვა. ორივე სპორტსმენს ახალგაზრდა მწვრთნელები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თ. ლეჟავა და ა. ჭყონია ავარჯიშებენ.

გავაცნობთ საქართველოს 1978 წლის პირად ჩემპიონატში გამარჯვებულებს:

48 კგ. **ნ. მუქიჩენკო** („განთიადი“, თბილისი), 52 კგ. **თ. ყაზარაშვილი** („შრომითი რეზერვები“, რუსთავი), 57 კგ. **თ. უგლავა** („ბურევესტნიკი“, ქუთაისი), 62 კგ. **ს. ზალინოვი** („განთიადი“, თბილისი), 68 კგ. **დ. ლატარია** („ბურევესტნიკი“, თბილისი), 74 კგ. **დ. ცანავა** („განთიადი“, თბილისი), 82 კგ. **გ. ალიევი** (ასკ, თბილისი), 90 კგ. **ა. ქანთარია** („ბურევესტნიკი“, თბილისი), 100 კგ. **ა. ჭელიძე** („კოლმეურნე“, თბილისი), 100 კგ-ის ზევით. **მ. სურმავა** („კოლმეურნე“, თბილისი).

აი, რა თქვა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა **დ. დავითაიამ**.

— პირველ რიგში, მადლობის სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ ჭიათურის პარტიული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებმაც ამ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარება უზრუნველყვეს. წლევანდელი ჩემპიონატის მიზანი იყო საქართველოს მოჭიდავეთა სპორტული ოსტატობის დონის შემოწმება და რაც მთავარია, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის ღირსეული კანდიდატების შერჩევა. ჭიათურის ხალიჩაზე ბევრმა ახალგაზრდა პერსპექტიულმა მოჭიდავემ გამოიჩინა თავი. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დ. ლატარიას, თ. ყაზარაშვილის, მ. ყარყარაშვილის, ა. ქველიაშვილის და სხვათა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. როგორც ცნობილია, დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისში, სპორტის სასახლის სარბიელზე გაიმართება ჭაბუკ მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ფალავნებიც გამოვლენ. რაც შეეხება მოზრდილთა ნაკრებს, იგი საკმაო ხანია ემზადება მთავარი სტარტისთვის — ხალხთა VII სპარტაკიადისთვის. წვრთნა-ვარჯიში წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. აქვე სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ გლდანის სპორტულ სკოლაში, სადაც საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის ნაკრების ათეულობით წევრი აღიზარდა, ელემენტარული პირობებიც არაა ნორჩი მოჭიდავეების შემდგომი დაოსტატებისთვის. კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე შესაბამისი ორგანიზაციები იმსჯელებენ.

**გ. ბარჯაძე,**
**სპორტის ოსტატი,**
**(ჩვენი კორ.).**

• • •

**სურათებზე:** ზევით (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნ. მუქიჩენკო, თ. ყაზარაშვილი, თ. უგლავა, ს. ზალინოვი, დ. ლატარია; (ქვევით) — დ. ცანავა, გ. ალიევი, ა. ქანთარია, ა. ჭელიძე, მ. სურმავა.

თ. შეყილაძის ფოტოები.

---

**მოკრივენი** სხვადასხვა გზებს მიჰყავს რინგისკენ. ზოგი ტყავის ხელთათმანის დიდოსტატთა წაბაძველობით ეზიარება ხოლმე ამ ფრიად საძნელო საქმეს. ზოგი მოკრივედ ხდება დაუმსახურებელი შეურაცხყოფის გამო, რომლის სამაგიერო მიზღვაც თავის დროზე ვერ შეძლო. ზოგსაც სხვები ჩააგონებენ ხოლმე, შენგან უცილოდ დიდი მოკრივე დადგებაო.

ერთნი თავიანთ დიდებას საზრიან და ალღოიან მწვრთნელებს უნდა უმადლოდნენ, სხვათ კი უცნაური შემთხვევა უბიძგებთ ხოლმე რინგისკენ. ეს კია, ყოველ მათგანში უთუოდ ჩაფესვილია გაუცნობიერებელი სწრაფვა რინგისკენ და კრივის ოსტატი მაშინ იშვება, როცა ბუნებრივ მიდრეკილებას ხელშემწყობი პირობებიც დაერთვის.

მოგვყავს რამდენიმე ფსიქოლოგიურად საინტერესო შემთხვევა, რომლებიც აღწერილი აქვს მსოფლიოს ჩემპიონს ქვესაშუალო წონაში კიდ მაკ კოის წიგნში „რინგის ისტორია“ და კრივის ერთ-ერთ მემატიანეს კ. ნეპომნიაშჩის წიგნში „კრივი და მოკრივენი“.

**ედიშერ გიორგაძე,**
**საქართველოს კრივის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.**



# რინგისკენ მიმავალი გზები

**ჯეკ დემპსი.** ყმაწვილკაცობისას იგი უბრალო მუშა გახლდათ. ერთხელ გზად მიმავალი დემპსი მასხარად აიგდო და ტალახის გუნდებით მოსვარა უბნის ავარების მეთაურმა. ფიცხი დემპსი მას მუშტით გაუსწორდა. ჯეკმა ისე მიბეგვა თავზეხელაღებული და ღონიერი თავხედი, რომ აზრი ჩაესახა რინგზე ეცადა ბედი. ასე დაიწყო მისი დიდებით მოსილი გზა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტახტისკენ.

**ჯიმ ჯეფრისი.** ლოს-ანჯელესში მუშაობდა მჭედლად. ბეჯითად იქნევდა უზარმაზარ უროს. იმ არემიდამოს მკვიდრნი გაოცებით აკვირდებოდნენ როგორ იგრაგნებოდა ჯიმის ზორბა ტანზე ვეება კუნთები. ჯეფრისი ცნობილი იყო როგორც დიდი ჯან-ღონის პატრონი. ერთხელ ლოს-ანჯელესში ჩავიდა ზანგი მოკრივე და განაცხადა, თქვენი კუთხის ნებისმიერ მამაკაცს ვიწვევ ორთაბრძოლაშიო, ქალაქის მკვიდრთა არჩევანი ჯეფრისზე შეჩერდა. ჩასკვნილმა მჭედელმა ისე იოლად დაჯაბნა ნაცადი მოკრივე, რომ ირწმუნა ამ საქმისთვისვარ შობილიო, ჯიმ ჯეფრისი შემდგომში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

**ბენი ლეონარდი.** ნიუ-იორკის ერთ-ერთ ბარში გამოდიოდა ხოლმე მსუბუქი წონის შესანიშნავი მოკრივე ლევრკ კროსი. ლეონარდი, რომელიც ამ ბარის ახლოს ცხოვრობდა, ხშირად ესწრებოდა მის მატჩებს. ბენი აღფრთოვანებული იყო კროსის ოსტატობით. თავისი უბნის ახალგაზრდებთან ერთად ყოველი მატჩის შემდეგ ბჭობდა კროსის ღირსებებზე. ეს მოკრივე ბენის იდეალად იქცა. ლეონარდმა გულში ამოიჭრა კროსის მსგავსი მოკრივე გამხდარიყო და დაიმკვიდრა კიდეც მსუბუქ წონაში მსოფლიოს ჩემპიონის სახელი.

**ჯონი დენდი.** იგი მემუარებში ასე გადმოგვცემს მისთვის მარადსახსოვარ შემთხვევას, რამაც უბიძგა რინგისკენ:

„ბავშვობისას მამაჩემის კუთვნილ თევზის სავაჭროში ვმუშაობდი. სავაჭროს პირდაპირ „ამერიკენ-თეატრის“ შენობა იდგა. ერთ საღამოს ჩვენს ქუჩაზე გაჩერდა მანქანა, საიდანაც გადმოვიდა სახელოვანი, იმჟამად უკვე ხანში შესული მოკრივე ჯიმ კორბეტი, რომელიც თეატრში მიდიოდა — უნდა გამოსულიყო პიესაში „ქურდი და ქალბატონი“.

ჯიმ კორბეტი რომ დავინახე, სიხარულისგან ენა კინაღამ წამერთვა. პირდაღებული მივჩერებოდი ამ მართლაც დიდებულ სპორტსმენს. ხუმრობა საქმე იყო? ჩემს წინ იდგა ცოცხალი ფენომენური მოკრივე, რომლის ასე ახლოდან ხილვა მხოლოდ ოცნებაში თუ შემეძლო.

ჰოი საოცრებავ, კორბეტი მომიბრუნდა და მთხოვა, მანქანაზე თვალი მჭეროდა. საჟეს მივუჯექი. სპექტაკლის დამთავრებამდე ფეხი არ მომიცვლია. თან ტვინს ერთი ფიქრი მიღრღნიდა, როგორ გამოვსულიყავი კორბეტის მსგავსი მოკრივე. იმ საღამომ განსაზღვრა ჩემი ცხოვრების გზა“.

ჯონი ლენდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ქვესაშუალო წონაში.

**ჯოე ჰანსი.** ბალტიმორში საუკეთესო ბეისბოლისტად ითვლებოდა, მოკრივედ გახდომა აზრადაც არ მოსვლია. ერთხელ თეთრკანიანმა ჯო ელიოტმა, რომელსაც ჰანსი თვალში არ მოსდიოდა, გამოიწვია იგი კრივში. ჰანსმა უარი უთხრა, მე მხოლოდ ჩემი ტომის ხალხს ვეჯიბრებიო. ელიოტი არ მოეშვა. და მაშინ ჰანსმა არაოფიციალურ მატჩზე ისე დააძვალრბილა კრივში ნაწრთობი ელიოტი, რომ გაბედა რინგზე ეცადა ბედი. ჰანსი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი მსუბუქ წონაში.

**ჯეკ ო' ბრაიენი** („ფილადელფიად“ წოდებული). მისი მამა ფერმერი იყო. ო'ბრაიენთა დიდ საბძელში თავს იყრიდნენ ხოლმე ჯეკის ტოლამხანაგები და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კრივში. ჯეკი იოლად ამარცხებდა ყველას. ერთ მშვენიერ დღეს მან გააკეთა დასკვნა — თუკი საბძელში ყველას ვამარცხებ, რინგი რაღა ბედენააო. და მართლაც, ჯეკ ო' ბრაიენი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ქვემძიმე წონაში.

**რობერტ ფიტსიმონსი.** მისი ოჯახი გაჭირვებას განიცდიდა. ვაჟი ხშირად ეხმარებოდა დედას. ერთხელ მამამ დაასაქმა. რობერტი მაშინ 12 წლისა იყო. სიჩქარის გამო ბავშვმა მოკლეზე გადაჭრა და მოედანი გადაიარა, სადაც ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ. უეცრივ წინ ბურთი გამოუგორდა. ფიტსიმონსმა ფეხი მარჯვედ ჰკრა ბურთს და მოედნის ბოლოსკენ გაისროლა. მოეჭრა ერთ-ერთი გუნდის კაპიტანი და ისეთი ალიყური აჭამა, რომ ბავშვი უგრძნობლად გაიშოტა.

ამის შემდეგ ფიტსიმონსი მივიდა მჭედელთან. სთხოვა ძველი ტყავის წინსაფარი, ხელთათმანები გამოჭრა და ტოლამხანაგებთან ერთად ვარჯიში დაიწყო. 18 წლისამ მოიგო ახალი ზელანდიის სამოყვარულო პირველობა და გახდა ჩემპიონი მძიმე წონაში, მიუხედავად იმისა, რომ იწონიდა... 59 კილოგრამს. აღსანიშნავია, რომ მან ერთ საღამოს მოუგო ზედიზედ ოთხ მოკრივეს. შემდგომში ფიტსიმონსი გახდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი.

**ნიკოლოზ კოროლიოვი.** „მოსკოვში ჩემი სახლის ახლოს მდებარე პარკში გაიხსნა კრივის სექცია. იგი ღია იყო ყველა მსურველთათვის. ყველას შეეძლო ჩაეცვა ხელთათმანები და, თუ გული გაუწევდა და ღონეც ერჩოდა, გაევლო საბრძოლო წვრთნა. სექციის ხელმძღვანელი გახლდათ მოსკოვის პირველი ხელთათმანის ტიტულის მფლობელი, 1928 წლის მუშათა ოლიმპიადის ჩემპიონი ივან ბოგაევი. ხშირად ვესწრებოდი ვარჯიშებს. სწორედ მაშინ ამოვიჭერი გულში მოკრივე გავმხდარიყავი“.

ასე აღწერს თავის პირველ ნაბიჯებს რინგზე ნიკოლოზ კოროლიოვი, რომელიც შესანიშნავი მოკრივე გახდა. მან მალე მოუგო თავის პირველ მწვრთნელს (ბოგაევს) და წლების მანძილზე იყო საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი. მას დამარცხებული ჰყავს, აგრეთვე, ევროპისა თუ სხვა ქვეყნის არაერთი თვალსაჩინო მოკრივე.

**ალგირდას შოციკასი.** „რინგზე საკმაოდ გვიან შევდგი ფეხი. ლიტვაში ჩემი ახალგაზრდობისას კრივი დიდად პოპულარული არ გახლდათ. ზოგჯერ დიდები თუ მოიგონებდნენ აქაურ მკვიდრს, მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს ჯეკ შარკის (მისი ნამდვილი გვარი იყო ჟუკაუსკასი). ეს იყო და ეს.

მაშინდელი შეჯიბრებები სახსენებლადაც არ ღირს. ჩვენს რინგებზე ტარდებოდა ულიმღამო ორთაბრძოლები, რომლებიც ქუჩურ ჩხუბს უფრო წააგავდა, ვიდრე სპორტულ სანახაობას. მოკრივენი წესებს არ დაგიდევდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მუშტებს უბაგუნებდნენ ერთმანეთს. თითოეული მეტოქე ნიადაგ იმის ცდაში იყო, როგორმე სისხლი ედინა მეორესთვის ცხვირიდან. მე კრივი სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი. ასე მწამდა, რომ მარტოოდენ ფიზიკური ძალა მამაკაცის ღირსებას ბევრს ვერაფერს მატებდა. ძალა სულიერ მხნეობას უნდა შერწყმოდა უცილობლად. სიმამაცე, სიმედგრე, საკუთარი თავის რწმენა — ეს იყო უმთავრესი და ყოველივე ამის მომნიჭებლად კრივი მიმაჩნდა. იმდროინდელ რინგებზე კი ვხედავდი მხოლოდ და მხოლოდ უხეში ძალის ზეიმს.

(დასასრული მე-4 გვ.).

●

**სურათზე:** ჯიმ ჯეფრისი.







# წარმატებას მოველით

**ქალთა** მსოფლიო პირველობის ახალი, 1978-1981 წლების ციკლის საზონათშორისო ტურნირში, რომელიც 1979 წელს გაიმართება, ფიდე-მ პერსონალურად მიიწვია წინა ციკლის პრეტენდენტთა მატჩების მონაწილენი, საერთაშორისო დიდოსტატები ე. ახმილოვსკაია, ე. ფატალიბეკოვა, ნ. ალექსანდრია, ი. ლევიტინა, ვ. კოზლოვსკაია (ყველა — სსრ კავშირი) და ტ. ლემაჩკო (ბულგარეთი). შეჯიბრების დანარჩენი მონაწილენი უნდა გამოვლინდნენ ზონალურ ტურნირებში.

და აი, დღეს ფრუნზეში დაიწყება საბჭოთა ზონალური ტურნირი. მსგავსი შეჯიბრება ცალკე ჩვენში პირველად ტარდება, ადრე მისი მნიშვნელობის მატარებელნი საკავშირო ჩემპიონატები იყო.

ჩვენს ზონალურ ასპარეზობას საზონათშორისო ტურნირის ხუთი საგზური დაეთმო, ეს, რა თქმა უნდა, სიცხარეს შემატებს მოჭადრაკეთა პაექრობას.

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ ფრუნზეს ტურნირში სასპარეზოდ დაუშვა 16 მონაწილე, მათგან 9 მოჭადრაკე — 38-ე საკავშირო ჩემპიონატიდან — სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ლ. სემიონოვა (კიევი), დიდოსტატი ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი), საერთაშორისო ოსტატი ტ. ფომინა (ტალინი), ოსტატები ნ. გურიელი, თ. ხუგაშვილი (ორივე — თბილისი), ლ. ლისენკო (კიევი). ტ. ვორონოვა, ტ. ჩეხოვა, ნ. ტიტორენკო (ყველა — მოსკოვი), აგრეთვე, დიდოსტატი მ. ლიტინსკაია (ლვოვი), საერთაშორისო ოსტატები მ. რანიკუ (ტალინი), ლ. ბელავენეცი, ა. ახშარუმოვა (ორივე — მოსკოვი), ე. ეპშტეინი (გორკი), ოსტატები ნ. იოსელიანი (თბილისი) და ლ. ზაიცევა (მოსკოვი) — მათი საერთო წარმატებების გათვალისწინებით.

როგორც ხედავთ, ფრუნზეში ძლიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი, ამიტომ ძნელია გამოიცნო „შესანიშნავი ხუთეული". თუმცა შეიძლება იმის თქმა, რომ სამივე ქართველ ოსტატს გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

ბევრს მოველით 16 წლის ნანა იოსელიანისა და 17 წლის ნინო გურიელისგან. მათ წარმატებას მიაღწიეს ჯერ კიდევ 1976 წელს, სსრ კავშირის ქალთა 36-ე ჩემპიონატის ფინალში. მაშინ ნინომ სძლია იმდროინდელი საბჭოთა ოლიმპიური გუნდის სამივე წევრს (ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ი. ლევიტინა), ნანამ — ორ მათგანს (ალექსანდრიასა და ლევიტინას, დაუზავდა გაფრინდაშვილს). მერე გოგონებმა ამრავლეს წარმატება: იოსელიანმა სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატში ვერცხლის მედალი და გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონის თასი მოიპოვა, გურიელმა ბიდგოშჩის (პოლონეთი) საერთაშორისო ტურნირში დიდი უპირატესობით დაისაკუთრა პირველი პრიზი და სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ჩემპიონი თამარ ხუგაშვილი ცვალებადი წარმატებით მონაწილეობს ქალთა საკავშირო ჩემპიონატების ფინალში. წლეულს იგი კარგად თამაშობს და ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ ამჯერად სანუკვარ ხუთეულშიც მოხვდეს.

ზონალურ ტურნირში სამი ჩვენი თანამემამულის მონაწილეობა ბევრისმეტყველი ფაქტია, — გამოდის, რომ ქალთა მსოფლიო პირველობის ახალ ციკლში სულ ხუთი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ მსოფლიო ჩემპიონი ჩვენი თანამემამულეა, მაშინ მთელი სიცხადით გამოჩნდება საქართველოს ქალთა საჭადრაკო მოძრაობის დიდი წინსვლა, რაც გვახარებს და გვაამაყებს. მაგრამ ამ მიღწევებს განმტკიცება სჭირდება. სწორედ ამას მოველით ახლა, როცა ფრუნზეს ტურნირზე გავაცილეთ ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეები.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათებზე: თ. ხუგაშვილი, ნ. იოსელიანი და ნ. გურიელი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## შახი

**მინსკში** დამთავრდა მოზარდ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი, მაგრამ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ვინაიდან პირველი ადგილი ხუთმა კაცმა გაიყო. ესენი არიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, მინსკელი ა. განტვარგი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველი ვ. შჩოგოლევი, კიეველი რ. ლეშჩინსკი, მოსკოველი ა. ჩულკოვი და ლენინგრადელი მ. კორენევსკი. თვითოეულმა მათგანმა 17 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა და ახლა დამატებით მატჩ-ტურნირი გამოავლენს გამარჯვებულს. ასეთი რამ ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა. განტვარგისთვის ეს კარგი რეპეტიცია იყო ჰოლანდიელ ხ. ვირსმასთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ.





# რინგისკენ მიმავალი გზები

დასასრული

ერთხელაც მოსკოვში გამგზავნეს სპორტულ აღლუმზე მონაწილეობის მისაღებად. არავითარი სპორტული დამსახურებანი არ გამაჩნდა, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და, შესახედაობა კი მართლაც კარგი მქონდა. ლონიერი ფიგურა, ფართო ბეჭები, სხეულიდან სჭვივის ძალმოსილება. ასეთი იყო ჩემი პორტრეტი.

დელეგაციაში ჩემთან ერთად იმყოფებოდა კრივის მწვრთნელი ანთანას ზაპორასი. შევნიშნე, გამომცდელად მიმზერდა.

მერე გამომელაპარაკა და მირჩია, რინგზე მეცადა ბედი. უარზე დავდექი, თავს იოლად არავის დავაჩაგვრინებ და კრივი რაში მჭირდება-მეთქი, მივუგე. ზაპორასს გაეღიმა და „დინამოს" სტადიონზე წამიყვანა.

იქ მიმდინარეობდა ორი ცნობილი მოკრივის (კოროლიოვისა და ნავასარდოვის) შეხვედრა. თვალწინ სრულიად სხვაგვარი სურათი დამიდგა. ეს იყო ჩამდვილი კრივი.

ეს იყო შესანიშნავი სანახაობა, რომელიც იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ კრივი ღირსეული მამაკაცის შესაფერ ერთადერთ სპორტის სახეობად მივიჩნიე.

ასე დაიწყო ჩემი კარიერა რინგზე".

**ვალერი პოპენჩენკო.** „არასოდეს მიფიქრია, მოკრივე გავხდები მეთქი. ისე კი საკუთარი თავის მიმართ სპარტანული წესით ვირჯებოდი. მწამდა, რომ სულის სიმტკიცეს ფიზიკური მხნეობაც უნდა შემატებოდა და ვარჯიში აუცილებლად მიმაჩნდა მამაკაცისთვის. კრივისადმი გულგრილი გახლდით და არც საგანგებო მონაცემები გამაჩნდა. ეს იყო, რომ სუვოროვის სამხედრო სასწავლებელში კრივი ლამის სავალდებულოდ ითვლებოდა და სალდელი ვარჯიშებისას მწვრთნელმა მატულევიჩმა შეიცნო ჩემში მომავალი მოკრივე. მან თანდათანობით გამოავლინა ჩემი საბრძოლო თვისებები. გავხდი მოქნილი, განმივითარდა ძლიერი დარტყმა. როცა ვირწმუნე ჩემი ძალა, კრივიც სწორედ მაშინ შევიყვარე მთელი არსებით", ასე წერს საკუთარ თავზე შესანიშნავი მოკრივე, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ორგზის ჩემპიონი (მოყვარულთა შორის) ვალერი პოპენჩენკო.

**სტენლი კეტჩელი.** მუშაობდა ნიუ-იორკის რესტორანში ოფიციანტად. ერთ-ერთმა რესტორნის მომსახურემ მას სრულიად უმართებულოდ მიაყენა შეურაცხყოფა. კეტჩელმა იგი ჯერ მიბეგვა, მერე კი ძირს დასცა უგრძნობლად. ამან დამსწრე კრივის მენეჯერი აღაფრთოვანა და სტენლი მოკრივეთა ჯგუფში ჩარიცხა. მალე სტენლი კეტჩელმა სახელი გაითქვა, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო მოკრივემ.

**ჯორჯ დინონი.** მუშაობდა ფოტოატელიეში. ერთხელ იგი არიგებდა შეკვეთებს და ქუჩაში შემხვედრ ზანგს ატელიეს კლიენტის მისამართი ჰკითხა. ზანგმა შეგნებულად სრულიად სხვა მიმართულება უჩვენა. დინონმა მას მუშტით მიუზღო საკადრისი. რაკილა ჯანმაგარი ზანგი ასე იოლად შემოელახა, ჯორჯ დინონმა გადაწყვიტა ფოტოგრაფის ხელობა მოკრივის პროფესიაზე გაეცვალა. იგი ტყავის ხელთათმანის ცნობილი ოსტატი გახდა.

**ბათლინგ ნელსონი.** მუშაობდა მექანიკურ საამქროში და ყველაზე ნაკლებ კრივზე ფიქრობდა. ერთხელ მას თავში დაეცა რკინის დიდი ნაჭერი. ნელსონი საავადმყოფოში წაიყვანეს. სხვა ადამიანს ასეთი დარტყმა უმალ გააფრთხობინებდა სულს. ნელსონი კი მხოლოდ მსუბუქად დაზიანდა. მომჯობინებული ნელსონი ფიქრობდა, ჩემსავით გამძლე ადამიანი, თანაც ლონიერი და ტანწყობილი, მოკრივედ გამოდგებაო.

„უცნაურია, მაგრამ სწორედ საავადმყოფოში ნათლად გავიაზრე, რომ თუკი გამოვჯანმრთელდებოდი, უთუოდ მოკრივე გავხდებოდი. რკინის დიდმა ზოდმა ვერ მომკლა და მუშტზე წამოცმული ტყავის ხელთათმანი რას დამაკლებს-მეთქი, ვფიქრობდი".

ნელსონი შესანიშნავი მოკრივე დადგა. მართლაც ისე იოლად იტანდა დარტყმებს, რომ „გრანიტისშუბლიანი" ადამიანი შეარქვეს მეტსახელად.

• • •

სურათებზე: ნ. კოროლიოვი და ვ. პოპენჩენკო.

რედაქტორი ა. ბასილაია.

## საუკეთესოთა შორის

**ფრანს პრესის** სააგენტო წლის ათი საუკეთესო სპორტსმენის ვინაობის დასადგენად ყოველწლიურად აწყობს ამ სააგენტოს ჟურნალისტთა გამოკითხვას.

წლევანდელი სეზონის შედეგების მიხედვით საუკეთესო სპორტსმენებად აღიარეს მძლეოსნები — საბჭოთა ათლეტი, სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. ბარდაუსკენე, რომელმაც ქალთა შორის პირველმა დაძლია 7-მეტრიანი ზღვარი და კენიელი ჰ. რონო — ოთხგზის მსოფლიოს რეკორდსმენი სხვადასხვა დისტანციაზე რბენაში.

წლის 10 საუკეთესოთა შორის არიან, აგრეთვე, სხვა საბჭოთა სპორტსმენები: ტანვარჯიშში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ე. მუხინა, სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. იაშჩენკო, მოცურავე ვ. სალნიკოვი და ტანმოვარჯიშე ნ. ანდრიანოვი.

## თხილამურები

**სამთო**-მოთხილამურეთა მსოფლიო თასების გათამაშების პროგრამით წლევანდელი ზამთრის სეზონის პირველი ასპარეზობა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ვალ სენალეს (იტალია) მიდამოებში ჩაატარა.

ამ პრიზის უკანასკნელ 3 გათამაშებაში გამარჯვებულმა შვედმა ი. სტენმარკმა (იგი სპეციალური სლალომის აღიარებულ ავტორიტეტად ითვლება) აქ მოულოდნელად წააგო ბულგარელ პ. პოპანგელოვთან, რომელმაც 700-მეტრიან ტრასაზე ორი ცდის ჯამში 1.53,42 აჩვენა. სტენმარკი II ადგილს დასჯერდა — 1.53,63.

გიგანტურ სლალომში პირველი ცდის შემდეგ მასპინძელი მ. ბერნარდი ლიდერობდა (1.14,84), მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება იუგოსლაველ ბ. კრიჟაის დარჩა — 2.29,99. ბერნარდიმ შვეიცარიელ ჟ. ლიუტისთან ერთად II-III ადგილები გაიყო — 2.31,35. ამ სახეობაში სტენმარკი სტარტზე არ გამოვიდა.

# სპორტული დეკემბერი

წლევანდელი სეზონის უკანასკნელი თვის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი ჩვენს რესპუბლიკაში ასეთია:

2-28. **ჭადრაკი.** სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). თბილისი.

5. **ველოსპორტი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი კროსში. სოხუმი.

5-10. **ხელბურთი.** საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. თბილისი.

6-10. **მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი. ფოთი.

6-10. **ფრენბურთი.** 1963-64 წლებში დაბადებული გოგონებისა და ჭაბუკების რესპუბლიკური პირველობა. სოხუმი.

13-16. **ქართული ჭიდაობა.** საქართველოს სსრ აბსოლუტური ჩემპიონატი. თელავი.

15-17. **კლასიკური ჭიდაობა.** ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.

18-23. **თანამედროვე ხუთჭიდი.** ღია რესპუბლიკური შეჯიბრება ტექნიკურ სახეობებში. თბილისი.

18-24. **სამთო-სათხილამურო სპორტი.** ზამთრის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. ბაკურიანი.

18-24. **სათხილამურო სპორტი.** ზამთრის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ტურნირი. ბაკურიანი.

18-24. **ტრამპლინიდან ხტომა.** ზამთრის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი პირველობა. ბაკურიანი.

21-24. **სპორტული ტანვარჯიში.** მრავალჭიდში რესპუბლიკური ჩემპიონატი და 24-ე ახალგაზრდული პირველობა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე. თბილისი.

22-24. **მხატვრული ტანვარჯიში.** საქართველოს სსრ თასი და რესპუბლიკური ჩემპიონატი ჯგუფურ ვარჯიშებში. რუსთავი.

## თბილისი სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** რესპუბლიკის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. 3 ნოემბერი. „ავაზას" ბაზა დიღომში. „ავაზა" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი). დასაწყისი 12 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი). 12 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია). 12 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — სპორტსკოლა (გლდანი). 15 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 13397